№3-784

11.04.2022

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის
ადმინისტრაციის უფროსს ქალბატონ ნანა ხუციშვილს

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

ქალბატონო ნანა,

მადლობას მოგახსენებთ 08.04.2022-ის პასუხისათვის (წერილიN 5469 / 15-02). მოწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, გთხოვთ დაგვიზუსტოთ შემდეგი:

1. როგორ შეიძლებოდა არ დადასტურებულიყო 3 შემთხვევასთან დაკავშირებით ფალსიფიცირებული პროდუქტის დამზადება-რეალიზაციის ფაქტი, როდესაც გამოძიებები დაიწყო სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) შეტყობინებების საფუძველზე, ან სეს-ის შეტყობინებები დაერთო უკვე მიმდინარე საქმეებს? კერძოდ, შეტყობინებებს წინ უძღოდა სეს-ის მიერ სავაჭრო ქსელიდან, ან საწარმოდან სურსათის ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევების შედეგად, მცენარეული ცხიმის გამოვლენა? ანუ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს მიერ უკვე იყო დადასტურებული შესაბამისი პროდუქტების დამზადება-რეალიზაცია, ხოლო სახელმწიფო ლაბორატორიის მიერ უკვე დადასტურებული იყო, რომ მოცემული პროდუქტები მცენარეულ ცხიმს შეიცავდა.
2. რატომ არ გაგრძელდა დანარჩენ 3 შემთხვევაში გამოძიება, თუკი სავაჭრო ქსელში აღარ ხდებოდა კონკრეტული სავარაუდოდ ფალსიფიცირებული პროდუქტის რეალიზაცია, მაშინ, როდესაც, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე უკვე მომხდარი იყო მცენარეული ცხიმის შემცველი პროდუქტების დამზადება-რეალიზაცია? ანუ სავარაუდო დანაშაული უკვე ჩადენილი იყო.

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang.kobaladze@csrdg.ge.

პატივისცემით,

ვახტანგ კობალაძე
პროგრამის კოორდინატორი

www.moxmarebeli.ge
მოხმარებელი.ge
საკითხს აზუქებს